ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N18

20.09.2018 *ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2*

ოთახი 2-01

11:00 საათი

მიმდინარე წლის 20 სექტემბერს, 11:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), ლევან ჯაფარიძე (კომისიის წევრი), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი) და დავით რურუა (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.
სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 6 (ექვსი) წევრის დასწრებით.

სხდომას თავმჯდომარეობდა - **გიორგი ჩაკვეტაძე.**

სხდომის დღის წესრიგი:

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული ფორუმის დელეგატთა რეგიონული შეხვედრის თაობაზე ინფორმაციის მოსმენა (**მომხსენებელი - გიორგი ჩაკვეტაძე**, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე)
2. მიმდინარე საკითხები (**მომხსენებელი - გიორგი ჩაკვეტაძე**, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

სხდომაზე კომისიის წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული ფორუმის დელეგატთა რეგიონული შეხვედრის თაობაზე.

გიორგი ჩაკვეტაძე - ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული ფორუმი, მიმდინარე წლის თებერვალში თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით დაფუძნდა, ფორუმში მონაწილეობა დელეგატის სტატუსით

საქართველოს 64 *(სამოცდათხი)* მუნიციპალიტეტის საკრებულოს 21-დან 29-წამდე ახალგაზრდა წევრებმა მიიღეს, ფორუმზე დელეგატები შეთანხმდენ თანამშრომლობის შემდგომ ნაბიჯებზე და შეიმუშავეს საერთო წინადადებები, რაც ერთიან რეზოლუციაზე ხელმოწერით დაადასტურეს. აღნიშნულის პლატფორმის ფარგლებში იმართება სხვადასხვა ღონისძიებები საქართველოს მასშტაბით. დონორი ორგანიზაციების დახმარებით ოქტომბერში, ევროპის დღეების კვირეულის ფარგლებში, ქუთაისში ჩატარდება პანელური შეხვედრა სადაც მრგვალი მაგიდის ფორმატში მოხდება 2019 წლის ბიუჯეტის დაგეგმვასთან დაკავშირებით კონსულტაციების გავლა. საკრებულოების ახალგაზრდა წევრების აქტიური ჩართულობა მიმდინარე პროცესებში მნიშვნელოვანია, ასევე მოხდება თბილისის მუნიციპალიტეტში არსებული პროგრამების გაცნობა და გამოცდილების გაზიარება, რაც ერთგვარი ბიძგის მიმცემები იქნება რეგიონებისთვისაც. დელეგატთა რეგიონული შეხვედრის შედეგად გაუმჯობესდება კომუნიკაცია საკრებულოს ახალგაზრდა წევრებს და ზოგადად მუნიციპალიტეტებს შორის. როგორც ზემოთ აღინიშნა მოხდება გამოცდილებების გაზიარება და ინფორმაციის გაცვლა საკუთარი მუნიციპალიტეტების მიერ ბიუჯეტის დაგეგმვისა და შეფასების პროცესების შესახებ, განისაზღვრება პლატფორმის გაძლიერებისა და სამომავლო თანამშრომლობის მექანიზმები. მრავალპარტიული ფორმატიდან გამომდინარე, ფორუმის მიმართ დიდია საერთაშორისო ორგანიზაციების დაინტერესება. ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული ფორუმის დონორი და დელეგატთა რეგიონული შეხვედრის მთავარი მხარდამჭერი იქნება საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია (ათეა) და ევროკავშირი. სამომავლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული ფორუმის დონოროობაზე ასევე ველოდებით კონრად ადენაუერის სახელობის ფონდის პასუხს. სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, კომისიის წევრებმა დეტალურად განიხილეს შეხვედრის ტექნიკური მხარე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ *მოიწონა ინიციატივა ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული ფორუმის დელეგატთა რეგიონული შეხვედრის გამართვის თაობაზე და ცნობად მიიღო იგი.*

სხდომის თავმჯდომარემ კომისიას მიაწოდა ინფორმაცია დედაქალაქში დაგეგმილ და მიმდინარე სპორტულ აქტივობებთან დაკავშირებით, ასევე მულტიფუნქციურ ცენტრების მშენებლობის პროცესზე და ნაძალადევის რაიონში, ა(ა)იპ ქ. თბილისის გლდანი -ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრის, კერძოდ კი თემქაზე მდებარე სპორტული კომპლექსის მშენებლობის დასრულების თაობაზე, სადაც ზრდასრულთა და ბავშვთა აუზები, სატრენაჟორო/სივრცე, სპორტული სექციებისთვის განკუთვნილი დარბაზი და სხვა სპორტული ინფრასტრუქტურა მოეწყობა. კომპლექსი უახლოეს პერიოდში გაიხსნება, მას შემდეგ, რაც ნაძალადევის გამგეობა საპარკინგე სივრცის და სხვა სამუშაოებს დაასრულებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

გიორგი ჩაკვეტაძე